



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა  
(დედამიწის მეგობრები - საქართველო)

# გარემო და საზოგადოება

ენერგეტიკა

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი  
საინვესტიციო პროექტები



## შინაარსი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი.....	3
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები .....	8
(29 დეკემბერი 2017 წელი) .....	8
მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე.....	8
კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით.....	10
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე.....	11
გამოქვეყნებული მემორანდუმები .....	12
ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები) .....	14
გამოქვეყნებული პროექტები.....	15
საკადასტრო რუკები .....	16

### სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი





სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ძირითადად კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით –

რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონები, ხოლო სამხრეთით – გურიის რეგიონი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ფართობია 7,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 10,8%. რეგიონის მოსახლეობის მხარეში შედის 498 დასახლებული პუნქტი – 8 ქალაქი, 2 დაბა და 487 სოფელი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედებს 9 ადმინისტრაციული ერთეული: ქალაქ ფოთის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტები. რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. ზუგდიდშია განთავსებული.

რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ხასიათდება სუბტროპიკული კლიმატით, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი – სუბალპური და ალპური კლიმატით. რეგიონი მოიცავს კოლხეთის დაბლობს, რომელიც ხასიათდება ჭარბად ნოტიო სუბტროპიკული ჰავით და განიცდის შავი ზღვის ძლიერ გავლენას.

რეგიონის მთლიანი ფართობის 40.7%, ანუ 3.01 ათასი კვ. კმ. უკავია ტყეს. უკანასკნელი წლების მონაცემებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანის მომტანად (9800 ჰა ფართობზე) ამერიკული თეთრი პეპელა განისაზღვრა. უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა კოლხური ბზის კორომების მასიური დაზიანება.

აქ აღრიცხულია 2,441 დიდი და მცირე მდინარე. უგრძესი მდინარეებია: ხობის წყალი (150კმ), ტეხური (101 კმ), აბაშისწყალი (66კმ), ხოლო ტრანზიტული მდინარეების - ენგურის, რიონის და ცხენისწყლის სიგრძე სამეგრელოს ტერიტორიაზე შესაბამისად - 94 კმ., 88 კმ. და 44 კმ-ია.

წყალსატევებიდან პალიასტომის ტბას და ჯვრის წყალსაცავს გამორჩეული სამეურნეო და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა აქვთ.

თერმული წყლების საბადოებია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, მარტვილის და სენაკის რაიონებში. მათი საერთო მარაგი შეადგენს 35 ათ. მ<sup>3</sup>/დღ.დ. ყველაზე მძლავრი, დეტალურად დამიებული და საექსპლუატაციოდ მომზადებული არის ზუგდიდი-ცაიშის საბადო.

რეგიონში არსებობს ტორფის 4 ძირითადი საბადო: ანაკლიის – ზუგდიდის რაიონში, ჭურიისა და ნაბადის – ხობის რაიონში, ოცანცალემის – მარტვილის რაიონში.

აქ მოიპოვება ფერადი ლითონები, რომელთა პროგნოზული რესურსი შეადგენს: ოქროსი – 103.7 ტონას, ტყვიის – 300 ათას ტონას, თუთის – 370 ათასი ტონა, სპილენძის – 376 ათასი ტონა, კობალტის – 6 ტონა, ვერცხლის -8.4 ტონა. სულ ამ სფეროს ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 2985.86 მლნ. დოლარის.

მარტვილის, მესტიის და ჩხოროწყუს რაიონებში მოიპოვება მოსაპირკეთებელი ქვები.

კირქვის საბადოებია მესტიის, მარტვილის და წალენჯიხის რაიონებში,

სახერხი ქვის და ღორღის ნედლეული –კირქვის საბადოებია მარტვილის, სენაკის ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონებში.

სამშენებლო ქვიშა-ხრემის საბადოებია სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში.

სააგურე თიხის საბადოებია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, ხობის და აბაშის რაიონებში.

თაბაშირი, ანჰიდრიტის საბადოებია წალენჯიხის რაიონში.

ბარიტის საბადოებია მესტიის, წალენჯიხის, მარტვილის და ზუგდიდის რაიონებში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა რეგიონში არსებობს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი, სამკურნალო წყლების, სამკურნალო მინერალებისა და ქვების მარაგი.

სამეგრელო-ზემო სვანეთს აქვს ტურიზმის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი, რასაც განაპირობებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორცაა კოლხეთისა და სვანეთის უძველესი კულტურა, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკო ადგილები, ჭარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურება - ლანდშაფტური მოზაიკა და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ზემო სვანეთის მყინვარები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი კურორტული ზონები.

ყოველივე ეს განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის.

### **ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხი**

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონში მოქმედი ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებელი 87 სტაციონარული ობიექტი, რომელთა შორის ჰაერის ძირითადი დამბინძურებლებია საზღვაო ტერმინალი (49,67%) და ნავსადგურები (17,18%), აგრეთვე ასფალტის წარმოები (19,44%).

ზედაპირული წყლის ობიექტების წყლის ხარისხზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ ზემოაღნიშნული დამბინძურების წერტილოვანი წყაროები (მოქმედი საწარმოები), არამედ დიფუზიური წყაროებიც, როგორცაა დასახლებული პუნქტებიდან სანიაღვრე წყლები, ღია კარიერები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჩამდინარე წყლები და ოფიციალური თუ სტიქიური ნაგავსაყრელები.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ქვეყანაში მოქმედი მსხვილი საწარმოო ობიექტები, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (ბაქო-სუფსა) და ენგურჰესი. აღნიშნული ობიექტები, მასშტაბებიდან გამომდინარე, მაღალი რისკის მატარებელია როგორც რეგიონის მოსახლეობისათვის, ისე ეკოსისტემებისთვის. ამდენად, აუცილებელია საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმის არსებობა.

საქართველოს ორი ისტორიული მხარის, სამეგრელოსა და გურიის ნაწილია საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორია - **კოლხეთის ეროვნული პარკი**.

კოლხეთის ჭაობები ძალზე მნიშვნელოვანია თავისი რელიქტური წარმოშობით. დღემდე შემორჩენილია რელიქტური და ენდემური სახეობებით მდიდარი ფიტოცენოზების კომპლექსები. გავრცელებულია გადაშენების პირას მისული ორი სახეობა - ყვითელი ყაყაჩურა და ზღვის შროშანი. აღსანიშნავია, რომ პარკის ტერიტორიაზე ბინადრობს ფრინველების 194 სახეობა. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გადის უამრავი ფრინველის ყოველწლიური მიგრაციის მარშრუტი და შესაბამისად მრავალ იშვიათ ფრინველზე დაკვირვებაა შესაძლებელი.

რეგიონის ტერიტორიაზე აგრეთვე მდებარეობს **კაცობურის აღკვეთილი**, რომელიც 1996 წელს დაარსდა და მისი საერთო ფართობი 295 ჰექტარს შეადგენს. აღკვეთილის ტერიტორია ძირითადად ვაკეა და მისი მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 40 მეტრს არ აღემატება. აღკვეთილის ტერიტორიაზე შემორჩენილია კოლხური ტყის ძლიერ სახეშეცვლილი ნაშთები, მობინადრე ფრინველის რამდენიმე სახეობიდან აღსანიშნავია კოლხური ხოხობი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში მყოფი **ზემო სვანეთის დაცული ტერიტორია**, რომელიც წარმოდგენილია ზემო სვანეთის ეროვნული პარკით.

ზემო სვანეთის ეროვნული პარკის ფლორაში 212 სახეობა კავკასიის ენდემია, 52 სახეობა - საქართველოს ენდემი, ხოლო 9 სახეობა - საკუთრივ სვანეთის ენდემი. პარკში მობინადრე ფრინველების ნაწილი საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. ზემო სვანეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ორი უნიკალური წარმონაქმნი - გეომორფოლოგიური და გლაციოლოგიური თავისებურებებით გამორჩეული **ადიშის მყინვარი** და კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძველმყინვარული ლოდი - „**ფერხულის ქვა**“.

## სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები (29 დეკემბერი 2017 წელი)

### მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მვტ)	სავარაუდო წლიური გამოიმუშავება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის დაწყების თარიღი	მშენებლობის დასრულების თარიღი	ექსპლუატაციაში გაშვების თარიღი		
1	ხობი ჰესი 2	შპს ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია	63,100,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხობისწყალი	46.70	202.00	15.09.2009	-	10.03.2018	10.03.2018	10.08.2021	10.08.2021
2	მესტიაჭალა ჰესი 1	სს სვანეთი ჰიდრო	34,200,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მესტიაჭალა	20.00	69.15	25.12.2015	25.12.2016	25.12.2018	25.12.2018	25.12.2021	25.12.2021
3	მესტიაჭალა ჰესი 2	სს სვანეთი ჰიდრო	39,200,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მესტიაჭალა	30.00	106.70	31.10.2014	31.10.2016	30.06.2017	30.06.2017	28.02.2019	28.02.2019
4	კასლეთი ჰესი 2	შპს კასლეთი 2	10,500,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	კასლეთი	8.10	45.80	17.02.2014	01.02.2015	01.04.2017	01.05.2017	01.10.2018	01.10.2018
5	ხუდონი ჰესი	შპს ტრანსელექტრიკა ჯორჯია	776,701,891	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ენგური	702.00	1500.00	28.04.2011	-	30.10.2016	30.12.2016	30.10.2021	30.10.2022
6	ნაკრა ჰესი	შპს აკვაჰიდრო	9,600,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ნაკრა	7.50	35.20	17.08.2015	17.05.2016	17.03.2018	17.03.2018	17.03.2020	17.03.2020
7	ხელრა ჰესი	შპს აკვაჰიდრო	5,300,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხელრა	3.30	17.00	17.08.2015	17.05.2016	17.03.2018	17.03.2018	17.03.2019	17.03.2019



8	იფარი ჰესი	შპს აკვაპიდრო	4,500,000	სამეგრელო- ზემო სვანეთი	იფარი	3.00	16.50	17.08. 2015	17.05 .2016	17.03 .2018	17.03 .2018	17.03 .2019	17.03 .2019
9	ლახამი ჰესი 1	შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი	11,160,000	სამეგრელო -ზემო სვანეთი	ლახამი	6.40	36.87	19.10. 2016	-	19.10 .2017	19.10 .2017	19.04 .2020	19.04 .2020
10	ლახამი ჰესი 2	შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი	14,790,000	სამეგრელო -ზემო სვანეთი	ლახამი	9.50	50.17	19.10. 2016	-	19.10 .2017	19.10 .2017	19.04 . 2020	19.04. 2020
11	ნენსკრა ჰესი	სს ნენსკრა ჰიდრო	1,000,000,00 0	სამეგრელო -ზემო სვანეთი	ნენსკრა	280.00	1200.00	30.08. 2015	-	05.10 .2015	05.10 .2015	05.10. 2021	05.10. 2021

## კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე (მგტ.)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
12	კასლეთი ჰესი 1	შპს კასლეთი 1	9,060,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	კასლეთი	8.10	46.40	17.02.2014	01.09.2016	01.10.2018	01.11.2018	31.03.2020	31.03.2020
13	დარჩი ჰესი	შპს დარჩი	19,800,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	დარჩი-ორმელეთი	16.90	93.60	17.02.2014	01.02.2018	01.06.2020	01.08.2020	31.12.2022	31.12.2022
14	დოღრა ჰესი 3	Ahlatchi Enerji Sanayi ve Ticaret Ltd Sti	25,000,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	დოღრა	17.69	65.28	11.10.2014	11.09.2017	11.01.2019	11.01.2019	11.01.2023	11.01.2023
15	მაგანა და ლექარდე ჰესების	შპს მაგანაჰიდრო	73,100,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მაგანა	40.60	213.40	11.02.2016	11.02.2017	11.12.2017	11.12.2017	11.12.2021	11.12.2021
16	ლუხრა ჰესი	შპს ეკოჰიდროპლიუსი	7,000,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ლუხრა	5.20	23.00	21.10.2016	21.07.2017	21.06.2018	21.06.2018	21.06.2020	21.06.2020
17	ნაკრა ჰესი 1	შპს ეკოჰიდრო	12,000,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ნაკრა	8.80	40.00	21.10.2016	21.07.2017	21.06.2018	21.06.2018	21.06.2020	21.06.2020
18	ნაკრა ჰესი 2	შპს ეკოჰიდრო	17,000,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ნაკრა	12.80	60.00	21.10.2016	21.07.2017	21.06.2018	21.06.2018	21.06.2020	21.06.2020

## ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე (მგტ.)	სავარაუდო წლიური გამოიმუშავება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის წელიწადი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის დაწყების თარიღი	მშენებლობის დაწყების თარიღი	მშენებლობის დასრულების თარიღი	ექსპლუატაციაში გაშვების თარიღი	
19	ხობი ჰესი 1	შპს ხობი 1	95,000,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხობისწყალი	60.00	320.00	15.09.2009	20.02.2017	-	-	-	-
20	ვედი ჰესი	შპს ფაზისი ჯგუფი	19,160,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხაიშურა	24.06	114.56	27.02.2015	27.02.2016	-	-	-	-
21	წირმინდი ჰესი	შპს ფაზისი ჯგუფი	13,440,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხაიშურა	15.67	76.74	27.02.2015	27.02.2016	-	-	-	-
22	ენგურჰესი 5	შპს ჰიდრო ენერჯო კორპორაცია	394,900,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ენგური	129.20	291.60	04.11.2015	04.08.2018	-	-	-	-
23	ენგურჰესი 6	შპს ჰიდრო ენერჯო კორპორაცია	80,300,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ენგური	50.60	255.20	04.11.2015	04.08.2018	-	-	-	-
24	ენგურჰესი 7	შპს ჰიდრო ენერჯო კორპორაცია	233,000,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ენგური	173.60	821.70	04.11.2015	04.08.2018	-	-	-	-
25	ენგურჰესი 8	შპს ჰიდრო ენერჯო კორპორაცია	203,000,000	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ენგური	150.30	734.00	04.11.2015	04.08.2018	-	-	-	-

26	ჯაღორ- ნაშუმი ჰესი	შპს ლ.ჯ. ფაურ სოლუმენს	2,400,000	სამეგრელო- ზემო სვანეთი	ჯაღორ- ნაშუმი	1.80	8.80	11.04. 2017	11.04. .2018	-	-	-	-
27	ნაცეშარი ჰესი	შპს ლ.ჯ. ფაურ სოლუმენს	2,600,000	სამეგრელო- ზემო სვანეთი	ნაცეშარი	1.93	8.50	11.04. 2017	11.04. .2018	-	-	-	-
28	ტიტა ჰესი	შპს ტიტა ენერჯი	6,731,000	სამეგრელო- ზემო სვანეთი	ტიტა	4.51	23.81	22.05. 2017	22.05. .2018	-	-	-	-
29	ლაპლაჭა ლა ჰესი	შპს შანჭიდრო	11,900,000	სამეგრელო- ზემო სვანეთი	ლაპლა ჭალა	12.00	52.70	4.09. 2017	4.12. 2018	-	-	-	-

### პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა

მასალა აღებულია საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

## გამოქვეყნებული მემორანდუმები

### ხობი 2, 3 ჰესები

- [ცვლილება 30.04.2010](#)
- [ცვლილება 01.06.2011](#)
- [შეთანხმება 04.02.2014](#)
- [ცვლილება 11.07.2014](#)
- [შეთანხმება 20.08.2015](#)

ნენსკრა ჰესიმესტჰალა ჰესი 2

- [შეთანხმება 14.07.2015](#)
- [შეთანხმება 29.10.2015](#)

კასლეთი ჰესი 2

- [შეთანხმება 23.07.2015](#)
- [შეთანხმება 05.12.2014](#)
- [შეთანხმება 29.01.2016](#)
- [შეთანხმება 30.11.2015](#)
- [ცვლილება 07.07.2016](#)
- [ცვლილება 21.10.2016](#)

ხუდონი ჰესი

- [ცვლილება 23.05.2012](#)
- [დამატება 04.02.2013](#)
- [ცვლილება 28.05.2013](#)
- [შეთანხმება 09.09.2015](#)

ხეღრა ჰესილახამი ჰესი 1, 2კასლეთი ჰესი 1დარჩი ჰესიდოღრა ჰესი 3მაგანა და ლექარდე ჰესების კასკადილუხრა ჰესივედი/ცირმინდი ჰესებიენგურჰესი 5, 6, 7, 8შეთანხმება 28.12.2016იფარი/ნაცემარი ჰესიტიტა ჰესი

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

## ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები)

დაგეგმილი პროექტები						
№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ.)	საშუალო წლიური გამომუშავება (მლნ.კვტ.სთ.)	რეგულირების სახეობა
1	ენგური ჰესი 1	ენგური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	5.50	22.40	მოდინებაზე
2	ენგური ჰესი 2	ენგური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	21.20	90.30	მოდინებაზე
3	ენგური ჰესი 3	ენგური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	12.10	50.00	მოდინებაზე
4	ენგური ჰესი 4	ენგური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	12.70	54.10	მოდინებაზე
5	ლარაკვაკვა ჰესი	ლარაკვაკვა	სამეგრელო-ზემო სვანეთი	6.40	23.20	მოდინებაზე
6	ლებარდე ჰესი 1	ლებარდე	სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.56	19.80	მოდინებაზე
7	ლებარდე ჰესი 2	ტეხური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.16	17.50	მოდინებაზე
8	ლესულუხე ჰესი	წაჩხური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	5.70	24.90	მოდინებაზე
9	მაგანა ჰესი 1	მაგანა	სამეგრელო-ზემო სვანეთი	13.50	52.25	მოდინებაზე
10	მანჩხაპური ჰესი	მანჩხაპული	სამეგრელო-ზემო სვანეთი	6.70	27.70	მოდინებაზე
11	მედანი ჰესი	ჭანისწყალი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.40	23.90	მოდინებაზე
12	ნაკი ჰესი	კაკრინაჩკური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	6.90	28.45	მოდინებაზე

13	ნოდაში ჰესი	მანშური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.20	17.70	მოდინებაზე
14	ტეხურის კასკადი	ტეხური	სამეგრელო-ზემო სვანეთი	112.39	653.25	წყალსაცავი
15	უტვირი ჰესი	უტვირი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.80	20.50	მოდინებაზე
16	ხვეშხი ჰესი	ხვეშხი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	5.00	22.14	მოდინებაზე
17	ხუმპრერი ჰესი	ხუმპრერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	37.40	153.30	მოდინებაზე

## გამოქვეყნებული პროექტები

[ენგური 1 ჰესი](#)

[ენგური 2 ჰესი](#)

[ენგური 3 ჰესი](#)

[ენგური 4 ჰესი](#)

[ლებარდე 1 ჰესი](#)

[ლებარდე 2 ჰესი](#)

[ლესულუხე ჰესი](#)

[მედანი ჰესი](#)

[ტეხური 1 ჰესი](#)

[ტეხური 2 ჰესი](#)


[ტეხური 3 ჰესი](#)

[ტეხური 4 ჰესი](#)

[ტეხური 5 ჰესი](#)


[ტეხური 6 ჰესი](#)

## საკადასტრო რუკები






III.3 სენაკის რაიონი  
III.3 Senaki district  
III.3 Сенакский район




III.5 ზუგდიდის რაიონი  
III.5 Zugdidi district  
III.5 Зугდიდский район





- III.7 მესტიის რაიონი
- III.7 Mestia district
- III.7 Местийский район



მასალა აღებულია [საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.



გამოცემაზე მუშაობდა: მარიკა ფიროსმანაშვილი, თათული კვარაცხელია

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო  
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: [info@greens.ge](mailto:info@greens.ge)  
ვებ-გვერდი: [www.greens.ge](http://www.greens.ge)